დანართი 1.

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო",

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2023
წლის 25 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2023 წლის 5 სექტემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი დიბიეშ ანანდი ვესტმინსტერის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირაკლი ჩხაიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირაკლი გორგილაძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ხუბულია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	European Union and Eastern Neighborhood
უმაღლესი განათლების საფეხური	დონე 7, მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ევროპული ინტეგრაციის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312.2.4 ევროპული ინტეგრაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/ საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო- შემოქმედებითი ან/ და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/ შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/ პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ეს არის ახალი პროგრამა, რომელიც ცდილობს გამოასწოროს ბაზარზე არსებული ხარვეზი, უპასუხოს ცვალებად და გადაუდებელ საჭიროებას, რომ საქართველო მოემზადოს ევროკავშირთან უფრო ძლიერი ურთიერთობებისთვის, მოამზადოს ქართველთა ახალი თაობა ევროკავშირთან და რეგიონთან ურთიერთობისთვის, შესძინოს თეორიული და პრაქტიკული უნარები საერთაშორისო სტუდენტებს, რომლებიც ევროკავშირისა და აღმოსავლეთ სამეზობლოს გააზრებით არიან დაინტერესებულნი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 ივლისს, სამშაბათს; ვიზიტში პანელის ყველა წევრი პირადად მონაწილეობდა. ჩავატარეთ დეტალური და ვრცელი შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. პანელმა მიიღო ადექვატური განმარტებები თვითშეფასების თავდაპირველი ანგარიშისა და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ ვიზიტამდე წარდგენილი სხვა დოკუმენტების შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შემოთავაზებული სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებს აუცილებელ სტანდარტებს. ის გთავაზობთ თეორიული და პრაქტიკული უნარების სიღრმისეულ შესწავლას. კურსებში ასახულია ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული გამოცდილება და, ზოგადად, შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. დაწესებულებაში არსებული ხარისხის კონტროლის მექანიზმები შესაბამისია. პროგრამა სრულად შეესაბამება დაწესებულების ხედვასა და მისიას.

სტანდარტი 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია პროგრამის მიღება მასში მცირე ცვლილებებისა და პროგრამის დოკუმენტაციაში გარკვეული გაუმჯობესებების შეტანით. ეს მცირე ცვლილებები მოცემულია ქვემოთ.

- დარწმუნდით, რომ უნარები 3 და 4, როგორც ეს პროგრამის აღწერაშია მოცემული, ასევე არსებობს იმ კურსებში, სადაც ისინი იგულისხმება.
- ჩაასწორეთ პროგრამის დოკუმენტაცია და კურსის სილაბუსები მათ შორის თანხვედრის უზრუნველსაყოფად. დარწმუნდით, რომ უნარები 3 და 4, რომელთა განვითარებასაც გვთავაზობს პროგრამა, ასახულია საკმარისი რაოდენობის კურსებში. უნდა არსებობდეს თანხვედრა პროგრამასა და კურსებს შორის, რაც უზრუნველყოფს ძირითადი ცოდნისა და უნარების შესაბამისობას სასწავლო სფეროსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
- სტაჟირების კურსიდან ამოიღეთ ტერმინები „სავალდებულო“ და „გარანტირებული“.
- რეკომენდებულია, რომ პერსონალის დატვირთვა მოიცავდეს სწავლებას, კონსულტაციას, სამეცნიერო-კვლევით და სხვა სახის დატვირთვას აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად.
- სასურველია, ყველა პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ იქნას მე-7 დონის შესაბამისი ზმნები.
- შეამოწმეთ თქვენი პროგრამის მიზნები – თუკი აცხადებთ, რომ ყველა სტუდენტი მიიღებს კომპეტენტურ ცოდნას ევროკავშირის იურიდიულ საკითხებში, მაშინ უნდა დარწმუნდეთ, რომ ეს მიიღწევა სავალდებულო კურსით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამოიღეთ ეს მიზანი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- თუ უსდ-ს სურს მოიზიდოს მეტი საერთაშორისო სტუდენტი, განიხილეთ ახალი კურსი ევროკავშირისა და გლობალური პოლიტიკის შესახებ (მაგალითად, ევროკავშირის ურთიერთობები ჩინეთთან, აშშ-სთან, ინდოეთთან, აფრიკასთან და მსოფლიოს სხვა ნაწილებთან).
- სასურველია შეუცვალოთ სახელი კურსს 'ევროკავშირის კლინიკა', რათა ცხადი გახდეს, რომ ეს არის კურსი, რომელიც, ძირითადად, უზრუნველყოფს RIA- ს, რაც პროგრამას უნიკალურსა და განსაკუთრებულს ხდის.
- ვფიქრობთ, პროგრამაზე პრიორიტეტული ჩარიცხვის შესახებ შეთანხმება სხვა საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის, ეკონომიკის, ჟურნალისტიკის და ა.შ.) კურსდამთავრებულებს არათანაბარ პირობებში აყენებს და ეწინააღმდეგება უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ რეგულირებადი პროფესიების აღმწერს. მიზანშეწონილია შეცვალოთ დაშვების ეს კრიტერიუმები.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პროზიციას და გადაწყვიტა, რომ მათი მოსაზრებები რეკომენდაციაებთან და რჩევებთან მიმართებით დარჩეს უცვლელი და განხილული იყოს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.
პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები საკმაოდ ამბიციურია. იგი აღწევს ბალანსს საგნის ცოდნასა და უნარების ამაღლების ტრენინგს შორის. დასაფასებელია სხვადასხვა კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდების სპექტრი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კურსის სწავლის შედეგები უფრო მეტად შეესაბამება მე-7 დონეს, მთლიანობაში ეს აკმაყოფილებს მინიმალურ კრიტერიუმებს. სასწავლო მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია სასწავლო სფეროსთვის, დონისა და საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ინფორმაცია პროგრამის შესახებ

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ხედვის სიცხადე გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვებთან გასაუბრების დროს
- შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასა და პროგრამას შორის
- გაშუქებული თემების სპექტრი, რაც დასტურდება კურსის სილაბუსებით
- აკადემიური პერსონალის საქმისადმი სიყვარული და გამოცდილება, რაც ცხადი გახდა CV- ებიდან, ასევე გასაუბრებისას ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თუ უსდ- ს სურს მოიზიდოს მეტი საერთაშორისო სტუდენტი, განიხილეთ ახალი კურსი ევროკავშირისა და გლობალური პოლიტიკის შესახებ (მაგალითად, ევროკავშირის ურთიერთობები ჩინეთთან, აშშ- სთან, ინდოეთთან, აფრიკასთან და მსოფლიოს სხვა ნაწილებთან).

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მთლიანობაში, პროგრამა ახლოსაა მოთხოვნებთან, მაგრამ საჭიროებს პროგრამისა და კურსის სასწავლო მიზნებისა და შედეგების შესაბამისობაში მოყვანას. მაგალითად, პროგრამის დოკუმენტში ნახსენებია უნარი 3 „ავითარებს გადაწყვეტილების მოდელებსა და რეკომენდაციებს შესაბამისი სამეცნიერო და ანალიტიკური უნარების გამოყენებით“ და უნარი 4 „ამყარებს ურთიერთობას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ცოდნისა და იდეების გაზიარებისთვის…“. სად განვითარდება ეს უნარები? გაუგებარია, როგორ ეხმარება აღნიშნული უნარ-ჩვევების განვითარებას ამ მიზნისთვის დასახელებული ოთხი კურსი (ევროკავშირი: ინსტიტუტები და პოლიტიკა; კრიტიკული აზროვნება, აკადემიური წერა და პოლიტიკის ანალიზი; კვლევის მეთოდები). სინამდვილეში „გადაწყვეტილების მოდელების შემუშავება“ არც კი არის ნახსენები ზოგიერთ ამ კურსში. ამას თუ არ ჩავთვლით, პროგრამა შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც გაზომვადია და რომელთა მონიტორინგი

შესაძლებელია მთელი პროგრამის განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა, სილაბუსები, დოკუმენტები და გასაუბრება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან.

რეკომენდაციები:

- ჩაასწორეთ პროგრამის დოკუმენტაცია და კურსის სილაბუსები მათ შორის თანხვედრის უზრუნველსაყოფად. დარწმუნდით, რომ უნარები 3 და 4, რომელთა განვითარებასაც გვთავაზობს პროგრამა, ასახულია საკმარისი რაოდენობის კურსებში. უნდა არსებობდეს თანხვედრა პროგრამასა და კურსებს შორის, რაც უზრუნველყოფს ძირითადი ცოდნისა და უნარების შესაბამისობას სასწავლო სფეროსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
- ამოიღეთ სიტყვა „გარანტირებული“ სტაჟირებიდან, თუ რეალურად ამის გარანტიას არ იძლევით. ვიზიტის დროს ცხადი იყო, რომ სტაჟირება არც სავალდებულო იყო და არც გარანტირებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	X	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ორგანიზებულია უსდ-ის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად. უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტი ეყრდნობა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შესაბამის პროცედურებს მკაფიო პროტოკოლებით.
შეფასების ჯგუფი სათანადოდ არის ორგანიზებული და შედგება სხვადასხვა როლის მქონე წევრებისგან, რაც მრავალმხრივი შეხედულებების წარმოშობას უწყობს ხელს. რეგულარული

მეთოდები, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები, შესაბამისია დარგის თავისებურებებისა და განათლების დონის გათვალისწინებით.
უკუკავშირის სქემები საკმარისი და კარგად შემუშავებულია. თითოეული სწავლის შედეგისთვის პროგრამას აქვს მახასიათებლები. უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს და ადარებს მათ განსაზღვრულ მახასიათებლებთან. ასევე ატარებს პროცედურას, რომელიც მოიცავს შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესებისთვის. შეფასების სქემა მოიცავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის ყველა სავალდებულო კურსს/ კომპონენტს შორის.
პროგრამის პერსონალს ეხმარებიან იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კურსით უნდა განხორციელდეს კურსისა და სხვა სავალდებულო კომპონენტების დასრულების შემდეგ. ამიტომ გათვალისწინებულია პროგრამის თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე მისი თავისებურებები. უსდ აცნობს დაინტერესებულ მხარეებს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს.
საკმარისი და სათანადო აქცენტით თეორიულ, ემპირიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე, ასევე ხარისხის კონტროლთან ადეკვატური ჩართულობით, მთლიანობაში პროგრამა შეესაბამება მაგისტრატურის სტანდარტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა, სილაბუსები, დოკუმენტები და გასაუბრება
ცხადყოფს, რომ დიდი ყურადღება დაეთმო იმას, რომ ეს პროგრამა ამბიციური გამხდარიყო.

რეკომენდაციები:

- სასურველია, ყველა პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ იქნას მე-7 დონის შესაბამისი ზმნები.
- შეამოწმეთ თქვენი პროგრამის მიზნები – თუ თქვენ აცხადებთ, რომ ყველა სტუდენტი მიიღებს კომპეტენტურ ცოდნას ევროკავშირის იურიდიულ საკითხებში, მაშინ უნდა დარწმუნდეთ, რომ ეს მიიღწევა სავალდებულო კურსით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამოიღეთ ეს მიზანი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ორ წელზე გაშლილი პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული. პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს კარგად უნდა ჰქონდეს დაბალანსებული ძირითადი ცოდნა (პირველი სემესტრი), უფრო სპეციალიზებული საგნობრივი ტრენინგი (მეორე სემესტრი), სტაჟირება/ RIA ტრენინგი (ევროკავშირის კლინიკის კურსის მეშვეობით), საზღვარგარეთ შესაძლო სწავლა (მესამე სემესტრი) და სიღრმისეული კვლევა (დისერტაცია/თეზისი). პროგრამის შემუშავება აშკარად იყო თანამშრომლობითი და მასში ჩართული იყო ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე. ამიტომ, სტრუქტურა და შინაარსი პროგრამას საშუალებას აძლევს შეასრულოს თავისი მოთხოვნები და მიაღწიოს მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის დოკუმენტები, თვითშეფასების ანგარიში, ასევე ვიზიტის დროს მიღებული განმარტებები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია კურსს 'ევროკავშირის კლინიკა' შეუცვალოთ სახელი, რათა ცხადი გახდეს, რომ ეს არის კურსი, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფს რეგულირების გავლენის შეფასებას, რაც პროგრამას უნიკალურსა და განსაკუთრებულს ხდის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტები, ისევე როგორც ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრება, ექსპერტთა ჯგუფს არწმუნებს, რომ უმაღლეს სასწავლებელში არსებობს აკადემიური გამოცდილება, რომელიც მოიცავს საგნების ამ სპექტრს. ეს მოიცავს სასწავლო უნარებს, საჯარო გამოსვლებს, ევროკავშირის კვლევების საფუძვლებს, ევროკავშირის პოლიტიკურ, იურიდიულ და გეოპოლიტიკურ ასპექტებს, ამ ყველაფრის კავშირს „აღმოსავლეთ სამეზობლოსთან“ და ა.შ. პროგრამის ჩამოყალიბებასა და სტუდენტების რაოდენობის სტაბილიზაციასთან ერთად, პროგრამას აქვს მომავალში გაფართოების პოტენციალი. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა დაარსებიდან მიზნად ისახავს მოამზადოს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები, სასარგებლო იქნება იმის დანახვა, თუ რა ახალი მასალის დამატება შეიძლება, რათა ის უფრო მიმზიდველი გახდეს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებისთვის და არ იხელმძღვანელოს მხოლოდ პოლიტიკური/ეროვნული მოთხოვნით მზად იყოს ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

გასაუბრების დროს და კურსის დოკუმენტებში ხაზგასმით აღინიშნა სხვადასხვა კოლეგის განსხვავებული სპეციალობა და გამოცდილება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროკავშირისა და აღმოსავლეთ სამეზობლოს სამაგისტრო პროგრამისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიღების წინაპირობა განისაზღვრება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად. დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ პროგრამის აღწერაში. კერძოდ, აუცილებელია: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა ან უნივერსიტეტის გამოცდის ჩაბარება.
პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპული კვლევების, სოციოლოგიის, ფილოსოფიის და სამართლის სფეროებში შეძენილ აკადემიურ და პრაქტიკულ გამოცდილებას პრიორიტეტი ენიჭება თვითშეფასების დოკუმენტით და პროგრამაში ჩანაწერით. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით.
ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დაუფლებისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირების ჩართვას. დაშვების წინაპირობები არის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
ინფორმაცია ევროკავშირისა და აღმოსავლეთ სამეზობლოს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების

მოთხოვნების შესახებ წარმოდგენილია როგორც პროგრამის აღწერაში, ასევე თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამაზე მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია
- ადგილზე ვიზიტი.

რეკომენდაციები:

- დარწმუნდით, რომ უნარები 3 და 4, როგორც ეს პროგრამის აღწერაშია მოცემული ასევე არსებობს იმ კურსებში, სადაც ისინი იგულისხმება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ვფიქრობთ, პროგრამაზე პრიორიტეტული ჩარიცხვის შესახებ შეთანხმება სხვა საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის, ეკონომიკის, ჟურნალისტიკის და ა.შ.) კურსდამთავრებულებს არათანაბარ პირობებში აყენებს და ეწინააღმდეგება უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ რეგულირებადი პროფესიების აღმწერს. მიზანშეწონილია შეცვალოთ დაშვების ეს კრიტერიუმები.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.	☐	X	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და

ანალიზი

წარმოდგენილი მასალები და გასაუბრებები აჩვენებს, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ევროკავშირისა და აღმოსავლეთ სამეზობლოს სამაგისტრო პროგრამა უვითარებს სტუდენტებს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებულ საჭირო პრაქტიკულ უნარ- ჩვევებს. ეს უნარები მიიღწევა ორი სავალდებულო კურსის მეშვეობით: 1. აკადემიური წერა და პოლიტიკის ანალიზი და 2. კვლევის მეთოდები (6 ECTS);

სილაბუსების გაცნობის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული კურსი ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარზე. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროგრამის გარანტირებულ კომპონენტად შემოთავაზებულ პროფესიულ სტაჟირებაში.

სტაჟირება (12 ECTS) ითვალისწინებს სტუდენტების ჩართვას პოლიტიკის კვლევაში ანალიტიკური ნაშრომის მომზადების გზით, რომელსაც ისინი შეასრულებენ დიპლომატიის პრაქტიკოსების, საჯარო მოხელეების და საერთაშორისო ექსპერტების ხელმძღვანელობით. საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად არის დაცული ეთიკური ნორმები კვლევის პროცესში - უსდ იყენებს ანტიპლაგიატურ პროგრამას Turnitin, სადაც ატვირთულია ცალკეული დავალებები, სასწავლო კურსით გათვალისწინებული ესეები და სამაგისტრო ნაშრომის ცალკეული თავები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კურსის სილაბუსები
- გასაუბრება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის

განვითარებისთვის.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციისთვის წარდგენილი ევროკავშირისა და აღმოსავლეთ სამეზობლოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ფილოსოფია მიჰყვება „სწავლა კეთებით“ პრინციპს. ძირითადი მეთოდებია ინტერაქცია, დიალოგი; დისკუსია/ დებატები; ქეისის შესწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მიღწევის გზებს (მეთოდებს), რომელიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების მე-7 დონეს. თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსსა და შინაარსს. ამრიგად, პროგრამის ძირითადი სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის სასწავლო გეგმას.
საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია
- გამოკითხვის შედეგები;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები.
- ადგილზე ვიზიტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის

განვითარებისთვის. შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამამ გამოავლინა სტუდენტის შეფასების დადგენილი პროცედურების დაცვის ვალდებულება. შეფასების პროცესი ხასიათდება გამჭვირვალობით, სანდოობით და არსებული კანონმდებლობის მკაცრი დაცვით. სტუდენტების ცოდნისა და უნარების ყოვლისმომცველი შეფასების უზრუნველსაყოფად გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი. აპელაციის ოფიციალური პროცედურა აღწერილია დებულებაში.

შეფასების სისტემის მიხედვით, არსებობს სტუდენტების მოსწრების ხუთი დადებითი შეფასება კონკრეტული ქულების დიაპაზონის მიხედვით:

(A) ფრიადი - -91- -100 ქულა

(B) ძალიან კარგი-მაქსიმალური შეფასების -81-90 ქულა

(C) კარგი-მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61- -70 ქულა

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51- -60 ქულა

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41- 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი შრომა სჭირდება გამოცდის ჩასაბარებლად და მას მიეცემა შესაძლებლობა, ხელახლა ჩააბაროს გამოცდა თვითსწავლის შემდეგ;
(F) (F)- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 და ნაკლები ქულა; ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

საშუალო ქულის (GPA) გამოთვლა შეფასების სისტემის ნაწილია, თითოეულ საგანში შეფასების და მიღებული კრედიტების გათვალისწინებით. GPA გამოითვლება ნამრავლების შეჯამებით და აღებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე გაყოფით.

ეს სისტემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ორ ეტაპად: 1. წერითი შეფასება ხელმძღვანელის მიერ (დადებითი/უარყოფითი).
2. ნაშრომის შეფასება კომისიის მიერ.
და კვლავ, შეფასების ეს სისტემა შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსის სილაბუსი;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტთა ელექტრონული მონაცემთა ბაზა - ONLINE.NEWVISION.GE;
- ადგილზე ვიზიტი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტების შეფასება.	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და

რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ სტუდენტები შესაბამის კონსულტაციას იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების საკითხების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნეს, რომ დაწესებულების თანამშრომლები უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ სტუდენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფენ.

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი სისტემა „online.newvision.ge“, რომელიც აკადემიური საქმიანობის გასამარტივებლად სხვადასხვა შესაძლებლობებსა და პრაქტიკულ ფუნქციებს სთავაზობს. სტუდენტებს შეუძლიათ პლატფორმის გამოყენება კურსებზე დასარეგისტრირებლად, აკადემიურ მასალებსა და სილაბუსებზე წვდომისათვის, მიღებულ ქულებზე თვალყურის დევნებისა და დაგროვილი კრედიტების მონიტორინგისათვის. კურსის რეგისტრაციის ფუნქცია საშუალებას აძლევს სტუდენტებს დაათვალიერონ კურსების კატალოგი და შეარჩიონ ის კურსები, რომლებშიც სურთ დარეგისტრირდნენ კონკრეტული სემესტრისა თუ აკადემიური წლისათვის. სისტემა უზრუნველყოფს დეტალურ ინფორმაციას თითოეული კურსის შესახებ, აღწერილობების, წინაპირობებისა და ხელმისაწვდომი სექციების ჩათვლით. სტუდენტებს, ასევე შეუძლიათ თვალყური ადევნონ მათ მიერ დაგროვილ კრედიტებს მოსაპოვებელ ხარისხთან ან პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, სისტემის მეშვეობით აკადემიურ პერსონალს შეუძლია სტუდენტებთან კომუნიკაცია. მათ შეუძლიათ დაუკავშირდნენ აკადემიურ ხელმძღვანელებს, ლექტორებს რჩევებისთვის, მხარდაჭერისთვის ან განიხილონ ნებისმიერი აკადემიური საკითხები და პრობლემები.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტში ჩარიცხვის, სწავლისა და საგანმანათლებლო გარემოს შესახებ, ასევე მარეგულირებელი დოკუმენტები და ინსტრუქციები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში, სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზებასა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სტუდენტებს უნდა შესთავაზოს საკონსულტაციო მომსახურება, რაც მათ განვითარებასა და სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევაში დაეხმარება. ადგილზე ვიზიტის დროს პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ მათ ეძლევათ შესაბამისი ინდივიდუალური საკონსულტაციო და მხარდამჭერი მომსახურებები. სტუდენტებს ეხმარებიან კარიერის დაგეგმვაში და მათი მიღწევების გამოყენებაში კარიერული წინსვლისათვის.

უსდ უამრავ შესაძლებლობას იძლევა სტუდენტების საზღვარგარეთ მობილობისთვის, რაც სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და ღირებული საერთაშორისო გამოცდილების მიღების საშუალებას აძლევს. ეს დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს, სადაც მსგავსი კურსების სტუდენტებმა გაგვიზიარეს თავიანთი დადებითი გამოცდილება და შთაბეჭდილებები გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ. სტუდენტების გამოხმაურებამ კიდევ უფრო მეტად გაუსვა ხაზი საზღვარგარეთ მობილობის წახალისებისა და ხელშეწყობის ინიციატივების წარმატებას,

რამაც ისინი სასარგებლო ასპექტად აქცია. სტუდენტებს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით სტაჟირებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცემათ;
უნივერსიტეტი ყურადღებას აქცევს სტუდენტების შეხედულებებს, გამოცდილებას და განიხილავს მათ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პერიოდულად ტარდება გამოკითხვები სასწავლო კურსებისა და ლექტორების, კმაყოფილების შესახებ და ა.შ. კითხვარები არის ანონიმური და მათი შევსება ნებაყოფლობითია.
უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და ამ მიზნით გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რაც სტაჟირებისა და მოკლევადიანი სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტების შემდგომ პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის

განვითარების შესაფასებლად

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტი საკონსულტაციო და მხარდაჭერის მომსახურებები	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამიდან მოპოვებული ინფორმაციის, თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება ამ სფეროში აკრედიტაციის სტანდარტებს. თითოეულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთზე მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც ექნება დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევს მოცემულ დარგში შესაბამისი გამოცდილების მქონე კვალიფიციური აკადემიური პერსონალი. ხელმძღვანელობის პროცესი და ხელმძღვანელის კვალიფიკაცია რეგულირდება სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესით. სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კვლევით კომპონენტს ახორციელებენ სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ სამაგისტრო საგანმანათლებლო კომპონენტით გათვალისწინებულ პირობებს და სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე აგროვებენ ყველა შესაბამის კრედიტს ყველა სავალდებულო საგანში.

შემოთავაზებულ პროგრამაში სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი მხარდაჭერა და გამოხმაურება ხელმძღვანელებისაგან. მათ შეუძლიათ პირადად მიიღონ გამოხმაურება აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალური კონსულტაციებით, ხშირად ვირტუალური კომუნიკაციით ელექტრონული ფოსტისა და სტუდენტების პორტალის მეშვეობით. სამეცნიერო ხელმძღვანელი მჭიდრო კომუნიკაციას ინარჩუნებს სტუდენტებთან მათი მუშაობისას ნაშრომზე, სათაურის, სტრუქტურისა და შინაარსის განხილვისას. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს ხელმძღვანელებთან კონსულტაციების დანიშვნის თავისუფალი შესაძლებლობა აქვთ. ბოლო საფეხურია სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა, სადაც სტუდენტები თავიანთი კვლევის შედეგებს წარმოადგენენ. სტუდენტებს შეუძლიათ ნაშრომის მომზადების თითოეული ეტაპის განხილვა ხელმძღვანელთან. პირველ რიგში თანხმდება თემის სათაური, შემდეგ კი სტრუქტურა, შინაარსი და ა.შ. ასე რომ, შემოთავაზებული სისტემა აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	არ ეხება
მაგისტრანტთა/დოქტორანტთა რაოდენობა	არ ეხება
თანაფარდობა	არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის

განვითარებისათვის შესაფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2. მაგისტრანტების და დოქტორანტების ხელმძღვანელობა	X	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1.ადამიანური რესურსი

➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციებს, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

➢ პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგარად წარმართვას და ასევე მათი კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის და სხვა დაკისრებული მოვალეობების სათანადო აღსრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და

გამოცდილება, ასევე შესაბამისი კომპეტენციები სასწავლო პროგრამის სფეროში. ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის "ევროკავშირი და აღმოსავლეთის სამეზობლო" განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. პერსონალს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები სასწავლო პროცესის წარმართვაში. მათი კვლევითი გამოცდილება დასტურდება რეზიუმეებით და საკვალიფიკაციო დოკუმენტაციით. საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება: 5 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 6 მოწვეული ლექტორი (სულ 15 თანამშრომელი). პერსონალის კვალიფიკაცია და პუბლიკაციები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობამ და დატვირთვამ უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის შესაფერის დონეზე წარმართვა, მისი ეფექტიანი ფუნქციონირება და სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევა. პროგრამას აქვს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომლის განახლებაც ყოველ სემესტრში ხდება. თუმცა, დატვირთვის სქემები მოიცავს მხოლოდ სასწავლო დატვირთვას სილაბუსების შესაბამისად. რეკომენდებულია, რომ დატვირთვა მოიცავდეს სწავლებას, კონსულტაციას, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	15	14	5	9
- პროფესორი	5	5	2	5
- ასოცირებული პროფესორი	4	3	1	4
- ასისტენტ-პროფესორი	-	–	–	–

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტი	-	–	–	–
მოწვეული პერსონალი	6	6	2	–
სამეცნიერო პერსონალი	-	–	–	–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის პერსონალის რეზიუმეები
- აკადემიური პერსონალის ექსპერტიზა, რაც ცხადი გახდა როგორც რეზიუმეების, ისე ინტერვიუების საშუალებით ადგილზე ვიზიტის დროს
- თვითშეფასების ანგარიში
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ პერსონალის დატვირთვა მოიცავდეს სწავლებას, კონსულტაციას, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის

განვითარების შესაფასებლად

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
4.1 ადამიანური რესურსები	☐	X	☐	☐

4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამისთვის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს კვალიფიციურ ხელმძღვანელებს. ეს აშკარად ჩანს ხელმძღვანელებისა და

თანახელმძღვანელების რეზიუმეებიდან. მათი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია მაგისტრანტთა ხელმძღვანელების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებთან და საკანონმდებლო მოთხოვნებთან. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს ფლობს. ამას ადასტურებს მათი ხარისხი, სამეცნიერო ნაშრომები და კვალიფიკაცია. სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/5-თან. გარდა ამისა, მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი - სხვა უნივერსიტეტიდან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი - თუკი სამაგისტრო ნაშრომი ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებას მოითხოვს.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	9	3	9
- პროფესორი	5	2	5
- ასოცირებული პროფესორი	4	1	4
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პირადი საქმეები, სამეცნიერო ნაშრომები, რეზიუმეები.
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება.
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

შესაფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

4.2 მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	X	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პერსონალის რეზიუმეების განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაციები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია აკადემიური პერსონალის კვლევის მიმართულებები, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები. ზოგიერთ მათგანს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი და აკადემიური პროცესების წარმართვაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. აშკარაა პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი.
უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად, პერსონალური განვითარების გეგმა (PDP) დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად. ადამიანური რესურსების მართვის ოფისი, პერსონალის ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შეფასების პროცესის და PDP-ების შესაბამისობას უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან.
ინდივიდუალური კარიერული განვითარების მოდელი უნდა უზრუნველყოფდეს ინდივიდუალური პერსონალისთვის შესაბამისი განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას. შეფასებები სისტემატურია და ხდება 6 თვის განმავლობაში. შუალედური შეფასების შედეგები გამოიყენება PDP-ში ცვლილებებისა და შეფასების პროცესის მოდიფიკაციისთვის. სამეცნიერო, კვლევითი და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობისათვის უსდ პერსონალის წევრებს საჭირო გარემოთი უზრუნველყოფს. ასევე, ხელს უწყობს მათ მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში, პროექტებში, სემინარებსა და კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, რეზიუმეები.

- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის

განვითარებისათვის შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებს**
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. კერძოდ, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების განკარგულებაშია:

• სალექციო აუდიტორიები
• უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
• კომპიუტერული ცენტრი უნივერსიტეტში

• სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის სერვისები და ელექტრონული მონაცემთა ბაზები, როგორიცაა EBSCO, HEINONLINE, Sage Journals, OpenEdition, Royal Society Publishing, Cambridge University Press და სხვა.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ბევრ საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებასთან. მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსები თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ეს უკანასკნელნი, ასევე, ინფორმირებულნი არიან რესურსების ხელმისაწვდომობის თაობაზე და იციან მათი გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი უნივერსიტეტის კამპუსში
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ხელშეკრულებები პარტნიორ დაწესებულებებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის

განვითარებისათვის შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4 მატერიალური რესურსები	X	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის "ევროკავშირი და აღმოსავლეთის სამეზობლო" ბიუჯეტი განკუთვნილია 20 სტუდენტისათვის 2 წლის განმავლობაში. ბიუჯეტში გაწერილია წლიური ტარიფი და პროგრამიდან მოსალოდნელი შემოსავალი. პროგრამის ბიუჯეტი სწორადაა დაგეგმილი, ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფს მიეცა გარანტია, რომ უმაღლეს სასწავლებელს აქვს სრული ვალდებულება პროგრამის მიმართ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამის "ევროკავშირი და აღმოსავლეთის სამეზობლო" ბიუჯეტი
- უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. **პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**	X	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სამსახურებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება სათანადო ინფორმაციის შეკრება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 ხარისხის შიდა შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსახურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის კულტურის კომიტეტი ისწრაფვის მუდმივი განახლებისა და განვითარებისკენ, ფოკუსირებულია ყოველწლიურ გამოკითხვებზე,

შეფასების შედეგების გასაანალიზებლად ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვით. ეფექტური მონიტორინგის შესანარჩუნებლად ახორციელებს უნივერსიტეტის ერთეულების საქმიანობისა და შესაბამისი რესურსების მუდმივ შეფასებას, განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების მიზნებს და აყალიბებს განვითარების ტენდენციებს. უნივერსიტეტის მიერ დანერგილია ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტი; შეფასება ხდება პროგრამის მსვლელობაში; სასწავლო პროცესში ასევე ფასდება ინდივიდუალური კურსები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის კულტურის კომიტეტი თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართვას კონსტრუქციული შეფასების პროცესის უზრუნველყოფაში. აქედან გამომდინარე, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მომზადებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. თვითშეფასების პროცესი და შესაბამისი დავალებების განაწილება სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის უნდა უზრუნველყოფდეს ძლიერი მხარეებისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები გამოიყენება ხარისხის შიდა შეფასების პროცესებში პრობლემების მიზანმიმართული იდენტიფიცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების ინტერვენციების უზრუნველსაყოფად. ეს გამოკითხვები სტუდენტებისათვის ნიშნავს აუცილებლობების, საჭიროებებისა და სურვილების იდენტიფიცირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- "ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის" ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის

განვითარებისათვის შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულ საფუძველზე იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა, ძირითადად ხდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების საშუალებით, რომელიც ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გარე ექსპერტების შეფასებებით. უნივერსიტეტი, ზოგადად, განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს და დასკვნები ეცნობება პროგრამებს შემდგომი განხილვისათვის. ხარისხის კულტურის კომიტეტი უზრუნველყოფს რეაგირების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან.

პროგრამა შეაფასეს დარგის ექსპერტებმა და პროფესორებმა რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტიდან, გრაცის უნივერსიტეტიდან და კამპანიის ლუიჯი ვანვიტელის სახელობის უნივერსიტეტიდან. ყველამ აღნიშნა კარგად დაბალანსებული კურიკულუმი - სწავლა თეორიული მიდგომის, სტაჟირებისა და პრაქტიკული უნარების შერევით - როგორც ძირითადი ძლიერი მხარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- "ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის" ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- ექსპერტთა შეფასებები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა

პროგრამის მონიტორინგი და

პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და მომსახურების გაუმჯობესების ხარისხის კულტურის კომიტეტი უზრუნველყოფს მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები, სტუდენტების თვითშეფასების კითხვარებთან და თანატოლთა შეფასების პრაქტიკასთან ერთად, წარმოადგენენ უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვის ცენტრალურ ინსტრუმენტებს, ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ მას კურსის შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში ასევე ეწყობა ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თითოეული სემესტრის ბოლოს ხარისხის კულტურის კომიტეტი ახდენს სტუდენტების აკადემიურ მოსწრების მონიტორინგს და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. პროგრამა სარგებელს მიიღებს ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტის გამოყენებით - სწავლის შუალედური შედეგების შეფასებით, რომელიც უზრუნველყოფს დროულად გამოვლენილ საკითხებსა და ტენდენციებზე დაუყოვნებლივ რეაგირებას.
ამგვარად, უსდ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი და ინდივიდუალური პროგრამის შემუშავების საუკეთესო ხელმისაწვდომი პრაქტიკის ბენჩმარკინგს. ამგვარად, სამაგისტრო პროგრამა "ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო" ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგური პროგრამების გამოცდილებას. ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ ეს სამაგისტრო პროგრამა სთავაზობს გამორჩეულ მულტიდისციპლინურ მიმართულებას, სამართლის, პოლიტიკისა და ევროპათმცოდნეობის მთელ რიგ თემებს და რეგიონულ ფოკუსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- "ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის" ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- ექსპერტთა შეფასებები
- სხვა პროგრამის გამოცდილების ბენჩმარკინგი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის

განვითარებისათვის შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამი ს მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა	X	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, დონე: სამაგისტრო პროგრამა „ევროკავშირი და აღმოსავლეთ სამეზობლო“

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარე დიბიეშ ანანდი

აკრედიტაციის ექსპერტთა

ჯგუფის წევრები

ირაკლი გორგილაძე
ირაკლი ჩხაიძე

თამთა ცხოვრებაძე
ნინო ხუბულია